საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სისტემაში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის ამხ. ნიკოლოზ იოსების ძე **მელიქიშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი. 1984 წლის 10 სექტემბერი.

№ 2655—X

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 316 ამხ. გ. ნ. გორგოშიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ და სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრის მოადგილე ამხ. გივი ნიკოლოზის ძე **გორგოშიძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი. 1984 წლის 13 სექტემბერი.

№ 2660—X

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 317 ამხ. ი. ს. თურმანიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ, კომკავშირულ ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების ინსტრუქტორი ამხ. იზა სიმონის ასული **თურმანიძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი. 1984 წლის 13 სექტემბერი.

№ 2661—X

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 318 ამხ. მ. ა. უშხვანის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ, საბჭოთა, კომკავშირულ ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუ-

შაობის განყოფილების ინსპექტორი ამხ. მურად აზავის ძე **უშხვანი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი. 1984 წლის 13 სექტემბერი.

№ 2662—X

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 319 ამხ. ბ. ს. არაქელოვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

რესპუბლიკის სახელმწიფო სტატისტიკის ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს სამოქალაქო თავდაცვის შტაბის უფროსი ამხ. ბორის სერგოს ძე **არაქელოვი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი საპატიო სიგელით.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი. 1984 წლის 25 სექტემბერი.

№ 2674—X

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 320 ამხ. ჟ. ლ. ბლუაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ, საბჭოთა ორგანოებში ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის ახალციხის რაიკომის საერთო განყოფილების გამგე ამხ. ჟენია ლევანტის ასული **ბლუაშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი. 1984 წლის 25 სექტემბერი.

№ 2673—X

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 321 ამხ. ვ. ს. გაჩავას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ახალგაზრდობის სამხედრო-პატრიოტული და ინტერნაციონალური სულისკვეთებით აღსაზრდელად ხანგრძლივი აქტიური მუშაობისათვის საქართველოს სსრ არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების წულუკიძის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. ვიქტორ სამსონის ძე **გაჩავა** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი. 1984 წლის 25 სექტემბერი.

№ 2669—X

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 322 ამხ. მ. ა. გოგოლიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ და სახელმწიფო ორგანოებში ხანგრძლივი კეთილსინდისიერი მუშაობისათვის, ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისათვის და დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური ბოტანიკური ბაღის დირექტორი ამხ. მამია ალექსის ძე **გოგოლიშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი. 1984 წლის 25 სექტემბერი.

№ 2678—X

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 323 ამხ. რ. გ. მღებრიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სოფლის მეურნეობის დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით გურჯაანის რაიონის ვაზისუბნის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. რობინზონ გიორგის ძე **მღებრიშვი-**

ლი დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1984 წლის 25 სექტემბერი.

№ 2670—X

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 324 ამხ. თ. გ. ფეოდოროვას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სტატისტიკური სამმართველოს უფროსი ამხ. თამარ გრიგოლის ასული ფეოდოროვა დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1984 წლის 25 სექტემბერი.

№ 2675—X

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 325 ამხ. ვ. ლ. შენგელიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

რესპუბლიკის სამეურნეო და პარტიულ ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ეკონომიკური განყოფილების გამგის მოადგილე ამხ. ვახტანგ ლუკას ძე შენგელია დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1984 წლის 25 სექტემბერი.

№ 2668—X

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 326 ამხ. გ. ა. ცირამუას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სოფლის მეურნეობის დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის ჩხოროწყუს აგროსამრეწველო გაერთიანების თავმჯდომარე ამხ. გიგლა აკაკის ძე **ცირამუა** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი. 1984 წლის 25 სექტემბერი.

№ 2672—X

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 327 ამხ. ა. გ. ჯაიანის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სახელმწიფო უშიშროების ორგანოებში ხანგრძლივი უმწიკვლო სამსახურისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით აჭარის ასსრ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. ანზორ გიორგის ძე **ჯაიანი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი. 1984 წლის 25 სექტემბერი.

№ 2676—X

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 328 ამხ. ტ. ვ. ჯალაღანიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საფინანსო და სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის სამმართველოს უფროსი ამხ. ტარიელ ვლადიმერის ძე **ჯალაღანია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი. 1984 წლის 25 სექტემბერი.

№ 2671—X

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 329 ამხ. შ. კ. ჯიქიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საქართველოს ენერგოსისტემაში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ოთხმოც წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის მთავარი სამმართველოს კაპიტალური მშენებლობის განყოფილების სექტორის უფროსი ამხ. შალვა კონსტანტინეს ძე **ჯიქია** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი. 1984 წლის 25 სექტემბერი.

№ 2977—X

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 330 ამხ. კ. გ. გავაშელის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სამოქალაქო თავდაცვის განსამტკიცებლად გაწეული ხანგრძლივი ნაყოფიერი უმწიკვლო მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით აფხაზეთის ასსრ სამოქალაქო თავდაცვის შტაბის უფროსი ამხ. კარლო გრიგოლის ძე **გავაშელიშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი. 1984 წლის 26 სექტემბერი.

№ 2686—X

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 331 ამხ. გ. ვ. რობიტაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

რესპუბლიკის საგზაო მშენებლობის სისტემაში პასუხისმგებელ თანამდებობებზე ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის ამხ. გიორგი ვლადიმერის ძე **რობიტაშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე** პ. **გილაშვილი.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის** მდივანი თ. **ლაშქარაშვილი.**

თბილისი. 1984 წლის 26 სექტემბერი.

№ 2688—X

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 332 ამხ. მ. პ. ქუთათელაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

კინემატოგრაფიის სისტემაში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. მიხეილ პავლეს ძე **ქუთათელაძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე** პ. **გილაშვილი.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის** მდივანი თ. **ლაშქარაშვილი.**

თბილისი. 1984 წლის 26 სექტემბერი.

№ 2687—X

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 333 რესპუბლიკის მეტალურგიული მრეწველობის საწარმოთა მუშაკების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

რესპუბლიკის მეტალურგიული მრეწველობის დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით** დაჯილდოვდნენ:

**გაფრინდაშვილი** სიმონ მიხეილის ძე — სამრეწველო გაერთიანება „ჭიათურმანგანუმის" კალინინის სახელობის მაღაროთსამმართველოს ექსკავატორის მემანქანე.

**თავაძე** ვაჟა ბენედიქტეს ძე — რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მვალცავი.

**ისმაილოვი** ჯიმშიდ აზიზ ოღლი — ტრესტ „ცენტრმეტალურგრემონტის" რუსთავის სპეციალიზებული სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს ზეინკალ-მემონტაჟე.

**კერესელიძე** ვლადიმერ ბესარიონის ძე — სამრეწველო გაერთიანება „ჭიათურმანგანუმის" ზ. ა. პატარიძის სახელობის მაღაროთსამმართველოს გვირაბგამყვანი.

**კობახიძე** ვახტანგ შალვას ძე — ზესტაფონის გ. ნიკოლაძის სახელობის ფეროშენადნობთა ქარხნის მემანქანე.

**კუჭაშვილი** შალვა ჯიბოს ძე — სამრეწველო გაერთიანება „ჭიათურმანგანუმის" დიმიტროვის სახელობის მაღაროთსამმართველოს მემანქანე.

**ლაბაძე** პარმენ შოთას ძე — ტრესტ „ცენტრმეტალურგრემონტის" ზესტაფონის სპეციალიზებული სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს ზეინკალ-მემონტაჟე.

**მაღლაკელიძე** ვლადიმერ დავითის ძე — ზესტაფონის გ. ნიკოლაძის სახელობის ფეროშენადნობთა ქარხნის პროფკავშირის საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარე.

**მათეშვილი** გურამ მიხეილის ძე — რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მვალცავი.

**მესხი** შალვა შოთას ძე — ტრესტ „ცენტრმეტალურგრემონტის" ზესტაფონის სპეციალიზებული სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს მემანქანე.

**ნადირაშვილი** ანზორ სიმონის ძე — რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მღარავი.

**ჟორჟოლაძე** ჯონდო სიმონის ძე — სამრეწველო გაერთიანება „ჭიათურმანგანუმის" დიმიტროვის სახელობის მაღაროთსამმართველოს მთავარი ინჟინრის მოადგილე.

**სარალიძე** ოთარ სერგოს ძე — ზესტაფონის გ. ნიკოლაძის სახელობის ფეროშენადნობთა ქარხნის მდნობელი.

**ცუცქირიძე** ლევან ბიკენტის ძე — სამრეწველო გაერთიანება „ჭიათურმანგანუმის" ვ. ი. ლენინის სახელობის მაღაროთსამმართველოს მემანქანე.

**ჭოველიძე** სოკრატ ვასილის ძე — რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ზეინკალი.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი. 1984 წლის 28 სექტემბერი.

№ 2701—X

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 334 საქართველოს მეტალურგიული ქარხნების დამპროექტებელი სახელმწიფო ინსტიტუტის მუშაკების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საქართველოს მეტალურგიული ქარხნების დამპროექტებელ სახელმწიფო ინსტიტუტში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით** დაჯილდოვდნენ:

**კაპლუნოვი** გენადი არსენტის ძე — განყოფილების მთავარი სპეციალისტი.

**ნუცუბიძე** ალექსი ვარლამის ძე — განყოფილების უფროსი.

**შავიშვილი** ალექსანდრე ნიკიფორეს ძე — განყოფილების უფროსი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1984 წლის 28 სექტემბერი.

№ 2699—X

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 335 ამხ. გ. ვ. ჟორდანიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ქართული საბჭოთა თეატრალური ხელოვნების განვითარებაში დამსახურებისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით თბილისის ა. გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო რუსული დრამატული თეატრის მთავარი რეჟისორი გაიოზ ვუკოლის ძე **ჟორდანია** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1984 წლის 28 სექტემბერი.

№ 2697—X

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 336 ამხ. ვ. ვ. წიგნაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ქართული საბჭოთა ქორეოგრაფიული ხელოვნების განვითარებაში წვლილისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის

ბალეტის რეპეტიტორი ვერა ვარლამის ასული **წიგნაძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი. 1984 წლის 28 სექტემბერი.

№ 2698—X

## განყოფილება მესამე

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

1984 წლის 6 სექტემბერს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილება საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მსაჯულთა მომავალ არჩევნებთან დაკავშირებით ზოგიერთ ორგანიზაციულ ღონისძიებათა შესახებ.

სახალხო დეპუტატთა რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს დაევალათ:

უზრუნველყონ 1984 წლის ოქტომბერ-ნოემბერში რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მსაჯულთა არჩევნების მომზადება და მაღალ ორგანიზაციულ და იდეურ-პოლიტიკურ დონეზე ჩატარება „საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების არჩევნების შესახებ“ საქართველოს სსრ კანონის შესაბამისად;

განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ იმას, რომ შრომითი კოლექტივების, საცხოვრებელი ადგილის მიხედვით მოქალაქეთა და ჯარის ნაწილებში სამხედრო მოსამსახურეთა კრებებზე სახალხო სასამართლოების სახალხო მსაჯულებად არჩეულ იქნენ პატიოსანი, კეთილსინდისიერი, ავტორიტეტიანი მშრომელები და მოქალაქეები, რომლებიც სარგებლობენ ხალხის ნდობით, ხასიათდებიან მაღალი პოლიტიკური, მორალური და საქმიანი თვისებებით და უნარი შესწევთ ღირსეულად შეასრულონ თავიანთი საპასუხისმგებლო მოვალეობანი;

საარჩევნო კამპანიის პერიოდში ფართოდ გაშალონ მოსახლეობაში საავიტაციო-მასობრივი მუშაობა, სისტემატურად ჩაატარონ მოხსენებები, ლექციები, საუბრები, კითხვა-პასუხების საღამოები, რომლებიც მიეძღვნება სსრ კავშირის კონსტიტუციის დებულებათა, სოციალისტური დემოკრატიის არსის და პრინციპების, საბჭოთა კავშირის მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების, მათს დაცვაში მართლმსაჯულების როლის განმარტებას;

გულდასმით გააანალიზონ სახალხო სასამართლოების სახალხო მსაჯულთა არჩევნებისადმი მიძღვნილ მშრომელთა და მოქალაქეთა კრებებზე გამოთქმული კრიტიკული შენიშვნები და წინადადებები და დასახონ სათანადო ღონისძიებანი მათი რეალიზაციისათვის.

*

* *

27 სექტემბერს გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მორიგი სხდომა. „მართვის სისტემის სრულყოფისათვის, ეკონომიკური

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუშაობის დონის ამაღლებისა და რესურსების რაციონალური გამოყენებისათვის საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესასრულებლად ცხაკაიას რაიონის სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების საქმიანობის თაობაზე მოისმინეს ცხაკაიას სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილის ამხ. ა. ცაგურიას ინფორმაცია. აღინიშნა, რომ რაიონული, საქალაქო და სასოფლო საბჭოები, ხელმძღვანელობენ რა სკკპ XXVI ყრილობის, საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების გადაწყვეტილებებით, „მართვის სისტემის სრულყოფისათვის, ეკონომიკური მუშაობის დონის ამაღლებისა და რესურსების რაციონალური გამოყენებისათვის საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით, პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით მნიშვნელოვან მუშაობას ეწევიან სახალხო მეურნეობის ინტენსიფიკაციის, ეკონომიკური საქმიანობის გაუმჯობესებისა და ყველა სახის რესურსების რაციონალური გამოყენებისათვის, სრულყოფენ ეკონომიკური და სოციალურ-კულტურული მშენებლობის მართვის მექანიზმს, მეტ ყურადღებას უთმობენ საბჭოების მიერ მაკოორდინებელი და საკონტროლო ფუნქციების განხორციელებას, წარმოების რეზერვების გამოვლენას და მიზნობრივად გამოყენებას.

საბჭოების სესიებსა და აღმასრულებელი კომიტეტების სხდომებზე პერიოდულად განიხილავენ ეკონომიკური და სოციალური განვითარების საკვანძო საკითხებს, მიღებული გადაწყვეტილებების პრაქტიკულ განხორციელებაში ჩაბმული არიან დეპუტატები, მუდმივი კომისიები, დეპუტატთა ჯგუფები და საგუშაგოები.

სამეურნეო მშენებლობაში სახალხო დეპუტატთა საბჭოების როლის ამაღლებამ უზრუნველყო რაიონის ეკონომიკური და სოციალური განვითარების კომპლექსურობა, რესპუბლიკის ერთიან სახალხო-სამეურნეო კომპლექსში მათი წვლილის თანამიმდევრული ზრდა. მნიშვნელოვანი მუშაობა ტარდება სასურსათო პროგრამის რეალიზაციისათვის. აგროსამრეწველო გაერთიანების საქმიანობამ დიდად შეუწყო ხელი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების ტემპის გადიდებას. ფართოდ დაინერგა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებთან რაიონის მოსახლეობის კოოპერირება. აგროსამრეწველო კომპლექსში წარმოქმნილმა ცენტრალიზებულმა სახსრებმა ხელსაყრელი პირობები შექმნეს მატერიალური წარმოების სფეროს ცალკეული დარგების განვითარებისათვის.

რაიონის ეკონომიკური და სოციალურ-კულტურული განვითარების პრობლემების გადაწყვეტისას ითვალისწინებენ ამომრჩეველთა განაწესებსაც. საბჭოების მიერ შესასრულებლად მიღებული 611 განაწესიდან რეალიზებულია 548, ანუ მათი საერთო რაოდენობის 89,7 პროცენტი.

გარკვეული მუშაობა ტარდება სახელმწიფო, შრომისა და საშემსრულებლო დისციპლინის, სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის განმ-

ტკიცებისათვის. გაიზარდა ამ საქმეში დეპუტატების, დეპუტატთა ფორმირებების, მოსახლეობის საზოგადოებრივი თვითმოქმედების ორგანოების როლი. საზოგადოებრივ მეურნეობებში შრომისუნარიანი მოსახლეობის უფრო ფართოდ ჩაბმისათვის გაწეული მუშაობის შედეგად მიმდინარე ხუთწლედის სამ წელიწადში საზოგადოებრივ წარმოებაში დამატებით ჩაება 900 კაცზე მეტი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა, ამავე დროს აღნიშნა, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ზემოაღნიშნული დადგენილების შესასრულებლად მათ მიერ გაწეული მუშაობა ჯერ კიდევ სრულად არ უპასუხებს საბჭოების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების საკითხებზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1984 წლის აპრილის პლენუმის გადაწყვეტილებების, პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ კ. უ. ჩერნენკოს სიტყვაში ჩამოყალიბებული დებულებებისა და დასკვნების მოთხოვნებს.

სახალხო დეპუტატთა ცხაკაიას რაიონული და საქალაქო საბჭოები, მათი აღმასრულებელი კომიტეტები არ ახორციელებენ გადამჭრელ ღონისძიებებს ზოგიერთი საწარმოს საქმიანობაში არსებული ჩამორჩენის დასაძლევად. დაუშვებლად ჭიანურდება ცხაკაიას ხალიჩების კომბინატში რეკონსტრუქციის და მოდერნიზაციის სამუშაოები, დიდია კადრების დენადობა, ხშირია არამწარმოებლური მოცდენები. ხუთწლედის სამი წლის დავალება კომბინატმა მხოლოდ 92,9 პროცენტით შეასრულა. სასაქონლო პროდუქციის საერთო მოცულობაში ხარისხისნიშნიანი პროდუქციის წარმოება 1980 წელს 16,9 პროცენტიდან 1983 წელს 3,1 პროცენტამდე შემცირდა.

ზოგიერთ საზოგადოებრივ მეურნეობაში კვლავ დაბალია შრომის დისციპლინა. გასულ წელს რაიონის კოლმეურნეობებში შრომისუნარიან კოლმეურნეთა 2,7 პროცენტმა არ გამოიმუშავა შრომის სავალდებულო მინიმუმი.

ცხაკაიას რაიონის სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების სესიებზე, აღმასრულებელი კომიტეტებისა და მუდმივი კომისიების სხდომებზე მართვის სისტემის სრულყოფის, ეკონომიკური მუშაობის დონის ამაღლების, რესურსების რაციონალური გამოყენების საკითხებზე მიღებული გადაწყვეტილებები და რეკომენდაციები, რომელთა განხორციელება უნდა უზრუნველყოფდეს სახალხო მეურნეობისა და სოციალურ-კულტურული მშენებლობის ყველა დარგში საუკეთესო საბოლოო შედეგების მიღწევას, ყოველთვის როდია კონკრეტული და მიზანმიმართული. სრულყოფას საჭიროებს საბჭოების საკონტროლო საქმიანობა სახელმწიფო, შრომის, საშემსრულებლო დისციპლინის განმტკიცებასა და სამართალდარღვევებთან ბრძოლის გაძლიერებაში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა შესაბამისი დავალება მისცა ცხაკაიას რაიონის სახალხო დეპუტატთა ადგილობრივ საბჭოებს, მათს აღმასრულებელ კომიტეტებს.

*

* *

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა განიხილა საკითხი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრის, საქართველოს

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის ამხ. მ. ლ. მდივნის კრიტიკული გამოსვლებისადმი რესპუბლიკის რიგი სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელთა არასწორი დამოკიდებულების შესახებ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს 1982 წლის 3 აგვისტოს დადგენილების შესრულების მდგომარეობის თაობაზე.

აღინიშნა, რომ საქართველოს სსრ მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიაზე ამხ. მ. ლ. მდივნის მიერ დაყენებული ბევრი საკითხი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს განხილვის შემდეგ დადებითად გადაწყდა.

საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტმა და სასოფლო მშენებლობის სამინისტრომ თავიანთ კოლეგიებზე განიხილეს საქართველოს სსრ მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიაზე ამხ. მ. ლ. მდივნის მიერ დაყენებული საკითხები და დასახეს კონკრეტული ღონისძიებანი ნორიოს მეფრინველეობის ფაბრიკის მოდერნიზაციისა და რეკონსტრუქციის სამუშაოთა დასაჩქარებლად.

საქართველოს სასოფლო მშენებლობის სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტმა დროულად შეადგინა და სამშენებლო ორგანიზაციას გადასცა ტექნიკური დოკუმენტაცია; დამთავრებულია წყალმომარაგების ობიექტების მშენებლობა, რომლებიც „საქმთავარენერგოს" მიერ უზრუნველყოფილია ელექტრომომარაგების ხაზით; საექსპლუატაციოდ გადაეცა საკვები საამქრო, სასაკლაო და სანგამტარი; ფაბრიკა მომარაგებულია სათანადო ტექნოლოგიური დანადგარით და ამჟამად მიმდინარეობს სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები წარმოების გასაფართოებლად, აგრეთვე საბინაო-კომუნალური და სოციალურ-კულტურული დანიშნულების ობიექტების მშენებლობა.

ამასთან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ ზოგიერთი სამინისტრო და უწყება უპასუხისმგებლოდ მოეკიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დავალების შესრულებას; კერძოდ, საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტრომ ძალზე გააჭიანურა საკანალიზაციო კოლექტორის მშენებლობა, რაც საფრთხეს უქმნის მშენებარე საწარმოო ობიექტებისა და საცხოვრებელი სახლების საექსპლუატაციოდ დროულად გადაცემის საქმეს, დაწესებულ ვადებში ვერ დაამთავრა მთელი რიგი სხვა ობიექტების მშენებლობაც; ასევე საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის მშენებარე საწარმოთა გაერთიანებული დირექცია სუსტ კონტროლს უწევს ნორიოს მეფრინველეობის ფაბრიკის სიმძლავრეთა გადიდების და საბინაო-კომუნალური და სოციალურ-კულტურული დანიშნულების ობიექტების მშენებლობის სამუშაოთა წარმოების მიმდინარეობას. თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომმა ჯერ კიდევ ვერ მოაგვარა მეფრინველეობის ფაბრიკის წყლით მომარაგების საკითხი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო ცნობად საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის მინისტრის ამხ. ი. ხარატიშვილის გან-

ცხადება იმის თაობაზე, რომ გარდაბნის რაიონის ნორიოს მეფრინველეობის ფაბრიკის საკანალიზაციო კოლექტორისა და სხვა ობიექტების მშენებლობა, რომელიც დაპროექტებულია 1984 წლისათვის, დამთავრდება წელსვე.

სათანადო დავალებანი მიეცათ თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომს და საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტს.

* *

*

სხდომაზე საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მსაჯულთა საქმიანობის შესახებ ინფორმაციით გამოვიდა საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრი ამხ. ა. შუშანაშვილი.

სხდომაზე აღინიშნა, რომ 1982 წლის აპრილ-ივნისში არჩეული სახალხო მსაჯულთა უმრავლესობა კეთილსინდისიერად ეკიდება მსაჯულის საპატიო მოვალეობის შესრულებას, სახელმწიფო ინტერესების გათვალისწინებით მონაწილეობს სახალხო სასამართლოების საქმიანობაში.

ამასთან ერთად სახალხო სასამართლოების სახალხო მსაჯულთა გარკვეული ნაწილი იჩენს სრულ ინერტულობას, არსებით გავლენას ვერ ახდენს მართლმსაჯულების განხორციელებაზე, აქტიურ მონაწილეობას არ იღებს სამსჯავრო გამოძიებაში. მაგალითად, ზუგდიდის რაიონის სახალხო სასამართლოში მიმდინარე წელს 140 სახალხო მსაჯულიდან საქმეთა განხილვაში მონაწილეობდა 42; მრავალი მათგანი მხოლოდ ერთ სხდომას დაესწრო. ანალოგიური მდგომარეობაა ზოგიერთი სხვა ქალაქისა და რაიონის სახალხო სასამართლოებში, რაც ძირითადად გამოწვეულია სახალხო მსაჯულთა მონაცვლეობით გამოძახების თაობაზე კანონის მოთხოვნათა დარღვევით. აღსანიშნავია, რომ ცალკეული მოსამართლეები სათანადო პრინციპულობას არ იჩენენ იმ დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელთა მიმართ, რომლებიც არ ათავისუფლებენ სახალხო მსაჯულებს სამუშაოდან სახალხო სასამართლოში საქმის განხილვაში მონაწილეობის მისაღებად.

გადაჭრით გაუმჯობესებას საჭიროებს სახალხო მსაჯულთა სამართლებრივი მომზადება. ყველა მოსამართლე არ იჩენს ჯეროვან ყურადღებას მსაჯულების კონკრეტული საქმიანობისადმი, არ უწევს მათ სათანადო დახმარებას ამომრჩეველთათვის ანგარიშის ჩაბარების ორგანიზაციაში, არ აკონტროლებს მსაჯულთა საბჭოებისა და სექციების მუშაობას, არ იყენებს მსაჯულთა მუშაობის გააქტიურებისათვის კანონით გათვალისწინებულ საშუალებებს.

1984 წლის ოქტომბერ-ნოემბერში რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მსაჯულთა არჩევნების მაღალ ორგანიზაციულ და იდეურ-პოლიტიკურ დონეზე ჩატარებისა და მსაჯულებთან მუშაობის შემდგომი სრულყოფის მიზნით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა სათანადო დავალებანი მისცა საქრთველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს, რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს.

პრეზიდიუმის სხდომაზე განხილულ იქნა სხვა საკითხებიც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიებში

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მცხეთის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს სოფლის მეურნეობის კომისიების გაერთიანებულმა სხდომამ მოისმინა საკითხი სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისის და მომდევნო პლენუმების გადაწყვეტილებათა შესაბამისად რაიონის სასურსათო პროგრამის შესრულებისა და აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის გაუმჯობესებისათვის მცხეთის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს მუშაობის შესახებ.

აღინიშნა, რომ მცხეთის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომი, რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანება, ხელმძღვანელობენ რა სკკპ XXVI ყრილობის, საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებებით, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისის და მომდევნო პლენუმების და „სასურსათო პროგრამის რეალიზაციისათვის ბელორუსიის სსრ სახალხო დეპუტატთა საბჭოების მუშაობის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1983 წლის 30 აგვისტოს დადგენილებებით, გარკვეულ მუშაობას ეწევიან სასურსათო პროგრამის განხორციელების, აგროსამრეწველო კომპლექსის დარგების მართვის ფორმებისა და სამეურნეო მექანიზმის სრულყოფისათვის.

სასურსათო პროგრამის რეალიზაციის მიზნით მთელი რიგი ღონისძიებები ტარდება მოსავლიანობის ამაღლების, მეცხოველეობის, მეთევზეობისა და მეფუტკრეობის განვითარებისათვის. სასურსათო პროგრამის რეალიზაციის საქმეში გარკვეული წვლილი შეაქვთ რაიონის ტერიტორიაზე განლაგებული სამრეწველო საწარმოების, ორგანიზაციების, დაწესებულებების დამხმარე მეურნეობებს, მებაღეობა-მებოსტნეობის ამხანაგობებს, პირად დამხმარე მეურნეობებს და სხვ.

ამასთან ერთად კომისიები აღნიშნავენ, რომ სასურსათო პროგრამის რეალიზაციისათვის გატარებული ღონისძიებანი ჯერ კიდევ მთლიანად ვერ უპასუხებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისის და მომდევნო პლენუმების დადგენილებათა მოთხოვნებს.

რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების შექმნას ჯერ კიდევ მნიშვნელოვნად არ შეუცვლია რაიონის წარმოების ზრდის ტემპი და მეურნეობათა ფინანსური მდგომარეობა. სათანადო ყურადღება არ ექცევა შრომის ნაყოფიერებისა და ხელფასის ზრდის სწორი თანაფარდობის, დაბანდების ანაზღაურების, ფონდების გამოყენების, პროდუქციის ხარისხის ამაღლებისა და სხვ. საკითხებს.

ჯერ კიდევ ეფექტიანად არ არის გამოყენებული მიწის, შრომითი და მატერიალურ-ტექნიკური რესურსები.

ცუდ კლიმატურ პირობებთან ერთად მიწათმოქმედების დაბალი კულტურის შედეგად გასულ წელს ვერ შესრულდა მარცვლეულის, ყურძნის, ხილის წარმოების გეგმები.

ძალზე დაბალია ნათესების დამუშავების მექანიზაციის დონე; ზოგიერთი კულტურა დაითესა აგროვადების დარღვევით, დროზე არ ჩატარდა რწყვისა და სასუქების შეტანის სამუშაოები.

ხილბოსტნეულის მეურნეობის სამინისტროსა და „საქმთავარწყალმშენს" დღემდე არ ჩაუტარებიათ სამელიორაციო სამუშაოები მუხრანის მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის ჭარბტენიან 700 ჰექტარ ფართობზე.

ნაკლოვანებებია საზოგადოებრივ მეცხოველეობაში, არ სრულდება ძროხების სულადობისა და პროდუქტიულობის გეგმები, არასაკმარის დონეზეა ზოოვეტერინარული მომსახურება.

სერიოზული ნაკლოვანებებია საკვები ბაზის განმტკიცების საქმეში. არადამაკმაყოფილებლად ინერგება საკვების წარმოება-გადამუშავების და გამდიდრების თანამედროვე ტექნოლოგია.

ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა სოფლის მეურნეობაში შრომატევადი პროცესების მექანიზაციას. ნაკლოვანებებია გადამმუშავებელი მრეწველობის დარგების საწარმოთა საქმიანობაში. არ სრულდება კვების პროდუქტების წარმოების გეგმები.

სასურსათო პროგრამის რეალიზაციის საქმეში არსებული ნაკლოვანებები ძირითადად იმის მიზეზია, რომ სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომი, სახალხო დეპუტატთა სასოფლო საბჭოები, მათი ორგანოები თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე არ წარმართავენ ეკონომიკურ საქმიანობას, სრულად ვერ იყენებენ სოფლის მეურნეობის მართვის დარგში კანონებით მინიჭებულ უფლებებს, სათანადო გავლენას ვერ ახდენენ აგროსამრეწველო კომპლექსის მართვისა და მეურნეობრიობის სრულყოფაზე, საჭირო ინიციატივას არ იჩენენ შრომისა და წარმოების ორგანიზაციის პროგრესული ფორმების დანერგვის, კოლექტიური იჯარის გავრცელებისა და საოჯახო უგანაწესო რგოლების შექმნის საქმეში. სუსტი კონტროლი ეწევა სახელმწიფო გეგმების შესრულებას, სოფლის მეურნეობაში დანაკარგებისა და უყაირათობის წინააღმდეგ ბრძოლას, შრომისა დ საწარმოო დისციპლინის განმტკიცებას, სოფლის მშრომელთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას. სახალხო დეპუტატთა საბჭოების ორგანიზაციულ-მასობრივ და საკონტროლო საქმიანობას ხშირად ფორმალიზმი და ზერელობა ახასიათებს.

შეშფოთებას იწვევს შრომის დისციპლინის დაბალი დონე საზოგადოებრივ მეურნეობებში, მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის კერძომესაკუთრული მისწრაფებანი, გატაცება სასათბურე მეურნეობის უზომო განვითარებით და წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქციით სპეკულაციით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მცხეთის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს სოფლის მეურნეობის კომისიებმა არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის მიზნით სათანადო რჩევა მისცეს მცხეთის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომს.

სათანადო რჩევა მიეცათ აგრეთვე საქართველოს სსრ ხილბოსტნეულის მეურნეობის სამინისტროსა და რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს.

## ცვლილება ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1984 წლის 17 სექტემბრის ბრძანებულებით ყაზბეგის რაიონის კობის სასოფლო საბჭოს გამოეყო სოფლები განისი, გუდაური, ერეთო, საყურიანი, ფალაგყაუ, ქუმლისციხე და შეიქმნა გუდაურის სასოფლო საბჭო ცენტრით სოფელ გუდაურში.